საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@eca.ge, ბაქური, ბ. მეგენელიშვილის ქ. №25

----------2017წ.

N----------

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

2017 წლის 5 თებერვალს საპატრულო პოლიციის უფროსის კახაბერ ბუხრაძის დავალებითა და მითითებით დაგვაკავეს მე და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე, როდესაც თანაგუნდელებთან ერთად ვაპროტესტებდით ბიძინა ივანიშვილის მიერ ხეების გადატანის პროცესში უკანონოდ ბათუმი ქობულეთის მაგისტრალის გადაკეტვას. აღსანიშნავია გადამზიდავი კომპანიის პოზიცია რომ მათ არ უჭირთ ჯარიმის გადახდა და რა დროითაც დაჭრდებოდათ გადაკეტავდნენ გზას, საპატრულო პოლიციის უფროსის პოზიცია გახლდათ რომ მათ დააჯარიმეს კომპანია და სხვა ვერაფერს გააკეთებდნენ, მაშინ როცა ისინი ვალდებული იყვნენ ემოქმედათ და გაეთავისუფლებინათ ავტომაგისტრალი, უფრო მეტიც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები დამალული იყვნენ მოსახვევებში და აჯარიმებდნენ მძღოლებს, რაც 90-იანი წლების პოლიციურ რეჟიმს გვაგონებს. საეჭვო იყო ქართული ოცნების აქტივისტისა და მხარდამჭერის თენგიზ ლეონიძის გამოჩენა, რომელიც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგვმართავდა, რაზედაც საპატრულო პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია, პირიქით დამაკავეს ქობულეთის საკრებულოს წევრ ბონდო თედორაძესთან ერთად.

მე და ბონდო თედორაძე გადაგვიყვანეს დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც განხორციელდა დაკავების ოქმის შედგენა, აღნიშნულ პერიოდში ოთახში შემოვიდა ოცმეთაური ლევან ქებაძე, დაკავებულებს გვისაყვედურა რატომ არ წამოვდექით მის შესვლაზე, რაზედაც ვუპასუხე როგორ იქცევი, აქ მოქალაქეებს ასე არ უნდა ექცეოდნენ, ასევე უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ და არ გაქვს უფლება შეურაცხმყოფელად მომმართოო, რაზედაც ოცმეთაურმა მიპასუხა: „მე არ ამირჩევიხარ და ასეთი ორგანოც არსებობს?“.

ჩემი და ბონდო თედორაძის დაკავება იყო პოლიტიკური, რადგან დაკავებიდან გათავისუფლებამდე პერიოდში საპატრულო პოლიცია ცდილობდა სამაგალითოდ დაესაჯა ადამიანები რათა შემდგომში არ გამოეხატათ პროტესტი, ასევე იკვეთება შერჩევითი სამართლის ნიშნები, როცა ქართული ოცნების წარმომადგენელი შეურაცხყოფას გვაყენებდა არანაირი რეაგირება არ მომხდარა საპატრულო პოლიციის მხრიდან, პოლიციაში გადაყვანის შემდეგ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 15

14 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უკნონო დაკავების შესახებ

(№09-01-08/35, 12.06.2017,)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები ელგუჯა ბაგრატიონი, გია აბულაძე	*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*
ავტორი	ინიციატორი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

7.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 4.07.2017 სხვა კომისიები: 30.06.2017	საშემოდგომო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

შეურაცხმყოფილად იქცეოდა ოცმეთაური ლევან ქებაძე, საპატრულო პოლიციამ გამოიყენა მაქსიმალური ვადა და დაკავებიდან 12 საათის შემდეგ გაგვათავისუფლეს.

მე არ დამირღვევია კანონი და არ ჩამიდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაც დადასტურებული იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ საპატრულო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით ვიმყოფებოდი 12 საათის განმავლობაში უკანონოდ დაკავებული.

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როცა საპატრულო პოლიციის მოვლინებული წარმომადგენლები უხეშად ექცევიან მოსახლეობას, ისინი ახდენენ აგრესიით მოსახლეობის პროვოცირებას და შემდგომ აკავებენ.

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს რომ საპატრულო პოლიციის უფროსი და მის მიერ მოვლინებული წარმომადგენლები არღვევენ წესრიგსა და ადამიანის უფლებებს, რის გამოც ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ მომზადებული იქნა მიმართვის პროექტი.

წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ელგუჯა ბაგრატიონის უკანონო დაკავების შესახებ მიმართვის პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად;

ელგუჯა ბაგრატიონი

ფრაქციის თავმჯდომარე

09-01-08/3
12.06.2017
6. ფურცელი

მიმართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის

უკანონო დაკავების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელგუჯა ბაგრატიონი 2017 წლის 5 თებერვალს საპატრულო პოლიციის უფროსის კახაბერ ბუხრაძის დავალებითა და მითითებით დააკავეს, რომელიც თანაგუნდელებთან ერთად აპროტესტებდა ბიძინა ივანიშვილის მიერ ხეების გადატანის პროცესში უკანონოდ ბათუმი ქობულეთის მაგისტრალის გადაკეტვას. შემაშფოთოებელია გადამზიდავი კომპანიის პოზიცია, რომ მათ არ უჭირთ ჯარიმის გადახდა და რა დროითაც დაჭრდებოდათ გადაკეტავდნენ გზას, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების პოზიცია კი იყო, რომ მათ დააჯარიმეს კომპანია და სხვა ვერაფერს გააკეთებდნენ, მაშინ როცა ისინი ვალდებული იყვნენ ემოქმედათ და გაეთავისუფლებინათ ავტომაგისტრალი, უფრო მეტიც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები დამალული იყვნენ მოსახვევებში და აჯარიმებდნენ მძღოლებს, რაც 90-იანი წლების პოლიციურ რეჟიმს გავდა. საეჭვო იყო ქართული ოცნების ატივისტისა და მხარდამჭერის თენგიზ ლეონიძის გამოჩენა, რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რაზედაც საპატრულო პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია, პირიქით დაკავებული იქნა ელგუჯა ბაგრატიონი და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე.

ელგუჯა ბაგრატიონი და ბონდო თედორაძე გადაყვანილი იქნენ დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც განხორციელდა დაკავების ოქმის შედგენა, აღნიშნულ პერიოდში ოთახში შევიდა ოცმეთაური ლევან ქებაძე, დაკავებულებს უსაყვედურა რატომ არ წამოდგნენ მის შესვლაზე, რაზედაც ელგუჯა ბაგრატიონმა უპასუხა როგორ იქცევი, აქ მოქალაქეებს ასე არ უნდა ექცეოდნენ, ასევე უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ და არ გაქვს უფლება შეურაცხმყოფელად მომმართოო, რაზედაც ოცმეთაურმა უპასუხა: ,,მე არ ამირჩევიხარ და ასეთი ორგანოც არსებობს?"

ელგუჯა ბაგრატიონის ინფორმაციით მისი და ბონდო თედორაძის დაკავება იყო პოლიტიკური, რადგან დაკავებიდან გათავისუფლებამდე პერიოდში საპატრულო პოლიცია ცდილობდა სამაგალითოდ დაესაჯა ადამიანები რათა შემდგომში არ გამოეხატათ პროტესტი, ასევე იკვეთება შერჩევითი სამართლის ნიშნები, როცა ქართული ოცნების წარმომადგენელი შეურაცხყოფას აყენებდა ელგუჯა ბაგრატიონს და არანაირი რეაგირება არ მომხდარა საპატრულო პოლიციის მხრიდან, პოლიციაში გადაყვანის შემდეგ შეურაცხმყოფილად ექცეოდა დაკავებულებს ოცმეთაური ლევან ქებაძე, საპატრულო პოლიციამ გამოიყენა მაქსიმალური ვადა და დაკავებიდან 12 საათის შემდეგ გაათავისუფლეს დაკავებულები.

ელგუჯა ბაგრატიონს არ დაურღვევია კანონი და არ ჩაუდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი) რაც დადასტურებული იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ საპატრულო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით იმყოფებოდა 12 საათის განმავლობაში უკანონოდ დაკავებული.

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როცა საპატრულო პოლიციის მოვლინებული წარმომადგენლები უხეშად ექცევიან მოსახლეობას, ისინი ახდენენ აგრესიით მოსახლეობის პროვოცირებას და შემდგომ აკავებენ.

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს რომ საპატრულო პოლიციის უფროსი და მის მიერ მოვლინებული წარმომადგენლები არღვევენ წესრიგსა და ადამიანის უფლებებს, რის გამოც მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლების დავალებითაც უკანონოდ დაკავებული იქნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელგუჯა ბაგრატიონი;
2. მიეცეს მითითება საპატრულო პოლიციას იმოქმედონ კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გადაამეტონ უფლებამოსილებას;

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

განმარტებითი ბარათი

2017 წლის 5 თებერვალს საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებული იქნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელგუჯა ბაგრატიონი და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე, როდესაც თანაგუნდელებთან ერთად აპროტესტებდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ ხეების გადატანის პროცესში უკანონოდ ბათუმი ქობულეთის მაგისტრალის გადაკეტვას. ელგუჯა ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ გადამზიდავი კომპანიის პოზიცია იყო რომ მათ არ უჭირთ ჯარიმის გადახდა და რა დროითაც დაჭრდებოდათ გადაკეტავდნენ გზას, საპატრულო პოლიციის უფროსის პოზიცია კი იყო რომ მათ დააჯარიმეს კომპანია და სხვა ვერაფერს გააკეთებდნენ, მაშინ როცა ისინი ვალდებული იყვნენ ემოქმედათ და გაეთაქვისუფლებინათ ავტომაგისტრალი, უფრო მეტიც საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები დამალული იყვნენ მოსახვევებში და აჯარიმებდნენ მძღოლებს, რაც 90-იანი წლების პოლიციურ რეჟიმს გვაგონებს. საეჭვო იყო ქართული ოცნების ატივისტისა და მხარდამჭერის თენგიზ ლეონიძის გამოჩენა, რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რაზედაც საპატრულო პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია, პირიქით დააკევეს ელგუჯა ბაგრატიონი და ქობულეთის საკრებულოს წევრი ბონდო თედორაძე.

ელგუჯა ბაგრატიონის განმარტებით ის და ბონდო თედორაძე გადაგვიყვანეს დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც განხორციელდა დაკავების ოქმის შედგენა, აღნიშნულ პერიოდში ოთახში შევიდა ოცმეთაური ლევან ქებაძე, დაკავებულებს უსაყვედურა რატომ არ წამოვდექით მის შესვლაზე, რაზედაც ელგუჯა ბაგრატიონმა უპასუხა როგორ იქცევი, აქ მოქალაქეებს ასე არ უნდა ექცეოდნენ, ასევე უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვარ და არ გაქვს უფლება შეურაცხმყოფელად მომმართოო, რაზედაც ოცმეთაურმა მიპასუხა: ,,მე არ ამირჩევიხარ და ასეთი ორგანოც არსებობს?".

ელგუჯა ბაგრატიონი ასევე განმარტავს, რომ მისი და ბონდო თედორაძის დაკავება იყო პოლიტიკური, რადგან დაკავებიდან გათავისუფლებამდე პერიოდში საპატრულო პოლიცია ცდილობდა სამაგალითოდ დაესაჯა ადამიანები რათა შემდგომში არ გამოეხატათ პროტესტი, ასევე იკვეთება შერჩევითი სამართლის ნიშნები, როცა ქართული ოცნების წარმომადგენელი შეურაცხყოფას აყენებდა ელგუჯა ბაგრატიონს და არანაირი რეაგირება არ მომხდარა საპატრულო პოლიციის მხრიდან, პოლიციაში გადაყვანის შემდეგ შეურაცხმყოფილად იქცეოდა ოცმეთაური ლევან ქებაძე, საპატრულო პოლიციამ გამოიყენა მაქსიმალური ვადა და დაკავებიდან 12 საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

ელგუჯა ბაგრატიონს არ დაურღვევია კანონი და არ ჩაუდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი) რაც დადასტურებული იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ საპატრულო პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებით იმყოფებოდა 12 საათის განმავლობაში უკანონოდ დაკავებული.

ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როცა საპატრულო პოლიციის მოვლინებული წარმომადგენლები უხეშად ექცევიან მოსახლეობას, ისინი ახდენენ აგრესიით მოსახლეობის პროვოცირებას და შემდგომ აკავებენ.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უკანონო დაკავება ინსტიტუციის - აჭარის უმაღლესი საბჭოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვაა, ასევე ქვეყანაში დაცული უნდა იქნას ადამიანის უფლებები, მათ შორის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებები. ყველა ასეთ კანონდარღვევას უნდა მოჰყვეს მკაცრი რეაგირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უმაღლესმა საბჭომ მიიღოს მიმართვა, რაც შემდგომში გამორიცხავს მსგავს შემთხვევებს.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

13/06/2017
N 1605

1605-09-02-11-3-201706131527

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უკანონო დაკავების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტთან დაკავშირებით (რეგ N 09-01-08/35. 12.06.2017წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უკანონო დაკავების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტი.

წარმოდგენილი მიმართვის პროექტი არ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია, მიმართვა, განცხადება განიხილება და მიიღება დადგენილების განხილვისა და მიღებისთვის ამ რეგლამენტით განსაზღვრული წესით. თავის მხრივ, რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა უნდა იყოს ასახული განმარტებით ბარათში. მოცემულ შემთხვევაში, მიმართვის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი არ არის შედგენილი აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი